

## კულტურისა და სარწმუნოების მიმართებისათვის

### დიმიტრი თუმანიშვილი

როდესაც წამოსასვლელად ვემზადებოდი, ერთსულოვნების ეთერში იყო საუბარი, თუ როგორია მიმართება ერისა, ეროვნულობისა და რელიგიისა. ეს უკავშირდებოდა ზეგინდელ დღესასწაულს, 26 მაისის და ის, რასაც მოგახსენებთ გარკვეულად ეხმიანება ამ თემას და რატომ უნდა იმას, რაც სემინარის თვითონ სახელდებაშია ჩადებული, საყოველთაო და ეროვნული. დღეს ყოველთვის ლაპარაკობენ, ყველა, ვისაც არ დაეზარება, რომ მრავალი კულტურა არსებობს და ყველა ეს კულტურა ღირებულია. ეს დიდად საეჭვო არაა, მაგრამ ამავე დროს ისე გამოდის, რომ თითქოს ყველა კულტურას მოაქვს თავისი ჭეშმარიტება და შესაბამისად არსებობს მრავალი ჭეშმარიტება, რომელიც ერთმანეთის თანაზომი არ არის, მაგრამ ყველა თანასწორუფლებიანია, მრავალჭეშმარიტებიანობა. ვინც ასე მსჯელობს, პროზივისტები, მატერიალისტები, მათთვის ეს ძალიან მარტივია, იმიტომ რომ მათთვის არ არსებობს სინამდვილეში რაიმე არსებრივი, არ არსებობს მარადისი, ყველაფერი ცვალებადია, თავისი საკუთარი აზრებიც კი, ეს ჩემი აზრი არ გახლავთ. შეიძლება ხვალ თვითონვე ვერ გაიგონ, მათ ასე ჰგონიათ, მაგრამ თუ ჩვენ სხვა პროზიციაზე დავდგებით, რასაკვირველია ასე მარტივად ამ საკითხს ვეღარ გადავწყვეტთ. ძველის-ძველი და უკვე გაცვეთილია, რომ ეს ორი სიტყვა თავყანისცემა ღვთისა – კულტი და კულტურა წარმოდგება ერთსადაიმევე ლათინური სიტყვისგან, ზმნა “კოლერედან”, ერთიდაიგივე საფუძველი აქვს და როგორც სჩანს ეს შემთხვევითი არაა, მართლაც ძალიან ძნელია ისევდაისევ მიუხედავად მატერიალისტური მეცნიერების მთელი მცდელობისა, ძალიან რთულია იმის უარყოფა, რომ კულტურა ისტორიულად გაყოფილი იყო რელიგიისაგან. საკმარისად თვალსაჩინო უნდა იყოს, რომ თუ გინდა ის მონადირე, რომელიც ხატავდა მღვიმეს სადღაც სამხრეთ საფრანგეთსა თუ ესპანეთში, ისიც გარკვეული რელიგიური წარმოდგენებით ხელმძღვანელობდა, როგორით ეს უკვე სხვა საკითხია. საკმარისად აშკარაა, რომ გაყოფა, რომელიც დღეს ჩვენ ვიცით მსოფლიოში, თავდაპირველი და ბუნებრივი არაა, ამიტომაც არის ეტყობა, რომ არის შემოთავაზებული ასეთი ტიპოლოგია კულტურებისა სწორედ რელიგიის ნიშნით. ქრისტიანული კულტურა, ბუდისტური კულტურა, ისლამური კულტურა და ა. შ. ამ ტიპოლოგიას უჭერს მხარს მაგალითად ჩვენი თანამედროვე თბილისელი მეცნიერი, ბატონი გურამ ლებანიძე, რომელიც ისე ითვლება ლინგვისტად, მაგრამ პირადად მე მეჩვენება, რომ იგი ფილოსოფოსია. პრინციპში ეს არ არის არასწორი, მაგრამ მეჩვენება, რომ ეს ურთიერთობა კიდევ ცოტა უფრო რთულია, საქმე ის გახლავთ, რომ პირველყოფლისა არსებობს სულ ცოტა ორი ეპოქა, როდესაც კულტურა და რელიგია ცოტა სხვა

ურთიერთობაში მოექცა. პირველ ყოვლისა ეს არის კლასიკური და გვიანი ანტიკური ხანა, როდესაც განათლებული ბერძენი და განათლებული რომაელი სრულებითაც არ იყო მორწმუნე იმ ღვთაებებისა, რომლის ტაძრებშიც დადიოდა. რელიგია იქ ძალიან აშკარად გადაიქცა საზოგადოებრივ ინსტიტუტად, პირადად ჩვეთვის შესაძლებელია სავსებით სუბიექტური იყოს, ეს არაჩვეულებრივად მკაფიოდ გამოჩნდა, როდესაც შემთხვევით, უნდა გითხრათ, გადავაწყდი ციცერონის ტრაქტატს “ნიშნობისათვის”, სადაც ის საკმარისად ვრცლად და თანმიმდევრულად ეჭვით ეგებება მისნობებს და ფაქტიურად უარყოფს მათ. იქვე ბიოგრაფიაში ეწერა, რომ მთელი ერთი წლის განმავლობაში ის ასრულებდა მისნის მოვალეობას და სრულებითაც არ თვლიდა, რომ ამაში არის რაიმე არანორმალური. აკეთებდა რაღაცას, რაც მის საკუთარ რწმენას არანაირად არ ეთანხმებოდა. როგორც ჩანს სწორედ ეს არის ფსიქოლოგიური მიზეზი იმ გავეშებისა, რომელსაც იწვევდნენ პირველი საუკუნეების ქრისტიანები, როდესაც უარს ამბობდნენ შეეწირათ მსხვერპლი წარმართი ღმერთებისთვის. მათ საერთოდ არ ესმოდათ, ისინი რატომ ჯიუტობდნენ. ისინი თვითონ ხომ არ იყვნენ ღმერთების მორწმუნეები, ხომ წირავდნენ, ამათ რა დაემართათ. სწორედ ასეთი დამოკიდებულება რელიგიური რწმენისადმი, წმინდა გარემოებრივი, საზოგადოებრივი, რა თქმა უნდა აჩვენებს, რომ კულტურა ამ დროს გარკვეულად დაცილდა რელიგიას. გარკვეული დაშორება მოხდა მათ შორის. მეორე შემთხვევა, რა თქმა უნდა ესაა ის, რაც ხდება ბოლო საუკუნეებში. რაც ჩაისახა ალბათ მე-17 საუკუნეში, სავსებით გამოიკვეთა მე-18-ში და ფაქტიურად დამკვიდრდა მე-19 საუკუნეში, როდესაც სარწმუნოება გახდა ადამიანის კერძო საქმე და თუ მაინცდამაინც კულტურასთან რაიმე კავშირი აქვს, ერთ-ერთი გამოვლენაა კულტურისა. ერთ-ერთი სხეებთან ერთად. ძნელი სათქმელია ეს რამდენ ხანს გასტანს, ასე იქნება მუდამ, იმედი მაქვს, რომ არ იქნება. ძალიან აშკარა უნდა იყოს, რომ ამგვარმა დაყოფამ, მეუფე სერგის ნათქვამისა არ იყოს, უბედურების მეტი არაფერი მოიტანა, მაგრამ რაღაცა საუკუნეების განმავლობაში, ალბათ ათწლეულების განმავლობაში, ის გაგრძელდება. თუ წარმოვიდგენთ რამდენი ხანი იყო გვიანი ანტიკური ხანა, სადაც 300 წელი, ალბათ კიდევ წინ ერთი 150-200 წელი წინ ალბათ არის, არ ვიცი, ეს ჩემი განსაკითხი ნამდვილად არაა. იმ ანალიზით ნამდვილად ასეა. შეიძლება უფრო სწრაფად მოხდეს, შეიძლება უფრო რთულად იყოს, მაგრამ ერთი რამეცაა, სინამდვილეში, როდესაც, თუ ერთ შემთხვევაში, თუ მეორეში, რელიგია ასე გვერდზე გადადეს, იგი სინამდვილეში, ადამიანები ცნობიერებაში მაინც დარჩა. ეს ძალიან კარგად ჩანს თუნდაც იმით, რომ წარმართი სწავლულები ვერაფრით ვერ თმობდნენ მრავალღმერთიანობას. ხომ არ სწამდათ იმ ღმერთების და მთელი უკვე ქრისტეს აქეთ საუკუნეები ცდილობენ რამენაირად მათ ადგილი მოუქებონ სპირიტუალურ მსოფლმხედველობაში. გამოიგონეს რომ მაგალითად წარმართი ღმერთები იმ ღვთაებებისვე პირველსაწყისის რაღაც გამოხატულებებია, მისი რაღაც

გამოვლინების ფორმებია. ლოგიკურ საფუძვლებს ეძახდნენ, მითოლოგიის რეინტერპრეტაციას ახდენდნენ, მაგრამ ვერაფრით ვერ თმობდნენ. მოგესხენებათ მე-ნ საუკუნეში დაიხურა უკანასკნელი წარმართული აკადემია. ჩვენ დროს უკვე კომიკურია, როცა ლაპარაკია უნივერსალურ ღირებულებებზე, ცოტა რომ მიუგდო ყური, ესაა ჩვენთვის ყველსათვის ცნობილი ქრისტიანული ღირებულებები, ოღონდ გაძარცვული თავისი საფუძვლისგან, ამიტომ ძალიან გაღარბებული და საბოლოო ჯამში დეფორმირებული. ბევრს ალბათ ახსოვს, რამდენიმე წლის წინ მშვენიერი მოხსენება ალბანეთის მიტროპოლიტისა ჩვენში, რომელიც ამბობდა, რომ ევროპული ევროპული ღირებულებები ვერასოდეს ვერ იქნება მყარი, თუ ისინი არ დაფუძნდა ქრისტიანულზე. სხვა საფუძველი მას არ აქვს, მაგრამ არ სურს ამის ცნობა. არის კიდევ ერთი რამ, რაც მე პირადად ყველაზე საინტერესო და რთული მგონია. ეს გახლავთ ის შემთხვევები, როდესაც ხდება სარწმუნოების შეცვლა. ერთი რელიგია, არსებობს ხალხი, მისი კულტურა, საზოგადოება და ის იცვლის რელიგიას. რაღაცა დროს, წარმართულ კულტურებში, აქ წინააღმდეგობა არ იყო ხოლმე, რადგან წარმართები შემომატებას ახდენდნენ ახალი კულტებისა. ცნობილია მაგალითად, მე პირადად ძალიან მახალისებს ეს წარმოდგენად ისე, როგორ იტაცებდნენ დაპყრობილი ქვეყნების ღვთაებებს, დატვირთავდნენ აქლემებზე თუ რაღაცეებზე და მოჰქონდათ თავის ქვეყნებში, რომ ეს ღმერთები ეხლა მათი მფარველები ყოფილიყვნენ. ჩვენ ვიცით სხვა მოვლენებიც, მაგალითად დიონისე როგორ შემოვიდა მცირე აზიიდან ბერძნულ კულტურაში შედარებით გვიან. არავითარი გარდასახვა ანტიკური რელიგიისა ამას არ გამოუწვევია. დაემატა სრულიად სხვადასხვა მიწის ღვთაებებიდან, დაწყებული ჰეკატედან და დამთავრებული აპოლონით, ამ უამრავ ღვთაების კულტს დაემატა კიდევ ერთი. შემდეგ კიდევ უფრო გვიან ხანაში, ელინისტურში, რომაულში დაემატა მაგალითად ისიდეს თაყვანისცემა. რომში იყო ტაძარი სერაპეუმი, ათასი რაღაცეები. მითრას თაყვანისმცემლები. არაფერი შეცვლილა. ის კულტურა რჩებოდა, როგორც იყო. რადგანაც მრავალღმერთიანობაში, სადაც ყველა ღმერთი თანაბარი იყო, კიდევ ვიღაცა, რაღაცა ღმერთები ემატებოდნენ. არაფერი აქ მნიშვნელოვანი არ ხდებოდა. უფრო რთულადაა საქმე, როდესაც ჩვენ ვეხებით მსოფლიო რელიგიებს, რომლებიც, მოგესხენებათ ითხოვენ რწმენას. ესაა ბუდიზმი, ესაა ისლამი და რათქმა უნდა, პირველ ყოვლისა ესაა ქრისტიანობა. აქ ასე მარტივად აღარ გამოდის, როცა რომელიმე მათგანი შემოდის კულტურაში, ის ითხოვს გარკვეულ ცვლილებებს და ეს ცვლილებები ნამდვილად არის. ყველაზე ალბათ თვალსაჩინო ამის მაგალითი არის თუნდაც როგორ შეიცვალა ზნეობრივი და მერე უკვე ეს მივიდა კანონმდებლობამდე მოთხოვნები, როდესაც შემოვიდა ქრისტიანობა. რისტიანობამ მაგალითად, მოგესხენებათ ყველას, აკრძალა ზედმეტი ჩვილების, რომელთა მოკვდინება მაგალითად პლატონს არ ეჩვენებოდა უცნაირად, პრაქტიკა, როცა ჩათვლიდნენ კიდევ ერთი ბავშვი ზედმეტი, მიჰქონდათ ტყეში და ალაღ-ბეღზე ტოვებდნენ. აქედან ოიდიპოს მეფის მითოსი

მაგალითად. ვიდაცას შეეძლო გადაერჩინა და მადლად ჩაეთვლებოდა, მაგრამ რომ შეეჭამა მგლებს, ეს არაფერი არ იყო მშობლებისთვის, ეს იყო ჩვეულებრივი ამბავი. ასევე აიკრძალა ქრისტიანული ზნეობის ზეგავლენით გლადიატორთა ბრძოლები. ეს ძალიან თვალსაჩინო რაც არის. ამას გარდა ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ და ჩემს ხელობაში, ხელოვნებაში ძალიან კარგად ჩანს როგორ გარდაისახება ხელოვნება, აქაც ქრისტიანული ალბათ ყველაზე თვალსაჩინოა, თუმცა არც ისლამია მაინცდამაინც ამ მხრივ უყურადღებოდ დასატოვებელი. იქ ხდება სრულიად განსაცვიფრებელი რამ, როცა შემოდის არაბების მოტანილი ისლამი ძალიან ძლიერ სპარსულ საზოგადოებაში მთელი თავისი რელიგიით, ყველაფრით და სადღაც 100 წელიწადში სპარსული ხელოვნება ვერ იცნობა, ეს არის აბსოლიტურად სხვანაირი. მე მართალი გითხრათ, არც მესმის იქ რა მოხდა, რამ გარდასახა საკმარისად სწრაფად, რამ? რა ფაქტორი იყო ეს? არაბებს ხელოვნება არ მოუტანიათ, მათ მოიტანეს მხოლოდ გამოსახულების აკრძალვა. რატომ მოხდა, რომ ამის შედეგად გაჩნდა ეს ისლამური არაბესკა, სადაც ბიზანტიური შემავალიც იყო, მაგრამ სპარსეთს ვგულისხმობ ამ შემთხვევაში, რამ შეცვალა არქიტექტურა, რატომ გაქრა ერთი ფორმები და შემოვიდა სხვა. ნამდვილად არ მესმის, ეს რა იყო, მაგრამ ფაქტია, ეს ასე იყო და ამას ვერსად წაუხვალ. შესანიშნავად ჩანს ეს ცვლილება ქრისტიანული ხელოვნების მაგალითზე, ცოტა გვიანი ანტიკური, ანუ იგივე რელიგიის თავლსაზრისით ადრე ქრისტიანულ ხანაში. ხდება ანტიკური ფორმების თანდათანობითი გარდასახვა. ზოგ შემთხვევაში ეს შეიძლება მოაჩვენოს ადამიანს დაშლად, მაგრამ როდესაც თვალს მიადევნებ ისტორიულად, ხედავ ეს თავდაპირველი დაშლის, რაღაცის მოკლების ელემენტები შემდეგ ხდება რაღაცის შემოქმედი, შეიძლება ნახოთ დაწყებული კორინთული კაპიტელიდან და დამთავრებული ხატებით, როგორ შედის იქ ანტიკური ფორმები, აბსოლუტურად გარდასახული, ამ მხრივ, პირადად ჩემთვის, ყოველთვის გამაოგნებელია, როგორ გარდაისახა ჩრდილოვანი ზოლი, მწვანე ჩრდილი გვიანანტიკური მხატვრობისა, რომელიც ძერწავდა მოცულობით ფორმას, მიმანიშნებლად ხორციელების, რომელიც მოცულობას აღარ ძერწავდა. ძალიან ხშირად ამბობენ, რომ და ასეც არის, რომ არ არის ადვილი გამოძერწოთ სიბრტყეზე ხაზებით და ფერებით გამოძერწოთ ფორმა, მაგრამ მე რომ მკითხოთ არანაკლებ რთულია, რომ აიღოთ ორი სრულიად განსხვავებული ფერი, მაგალითად საკმარისად მჭახე წითელი, რომელიც ლოყაზე დაიდება და გვერდით ეს მწვანე და თქვენ ხედავთ ერთ სიბრტყეში. ეს როგორ კეთდება მე მგონი არავინ იცის და ეს ძალიან რთული ტექნიკა უნდა იყოს წესით. ასე არაა თვალისთვის, სხვადასხვა სიბრტყეზე ლაგდება. რატომ არ ლაგდება ამ შემთხვევაში? ასეთი გასაოცარი გარდასახვა მოხდა. ესეც ჩვენ დანამდვილებით ვიცით. მაგრამ ესლა მეორე ამბავიც არის. რელიგია შემოვიდა საზოგადოებაში, შემოვიდა კულტურაში და გამოიწვია მისი გარდასახვა. თვითონ რელიგიას რა ემართება? არის რაღაც ცვლილება, როცა რელიგია შედის სხვა კულტურაში?

მიუხედავად იმისა, რომ ეს ერთი ქვეყნიდან მეორეში შევიდა. ჩვენთვის ყველასთვის ახლობელი მაგალითი, პალესტინიდან მოვიდა წმინდა ნინო, ან უფრო ადრე ანდრია პირველწოდებული. მოიტანა ახალი სარწმუნოება. დახვდა სრულებით სხვა საზოგადოება, აბსოლუტურად რომ არ ჰგავს პალესტინურს, არც კაბადოკიურს და არც არანაირს. მათი მოტანილი სარწმუნოება როგორ იქნა აღქმული? ადეკვატურად გაიგეს? ეს სწორად გაიგეს? რა გააკეთეს? როგორ მიიღეს? როგორ აღიარეს? ჩვეულების ამასთან დაკავშირებით არის ხოლმე საუბარი ყოველნაირ სინკრეტულ გამოვლინებებზე, რომელიც ძალიან თვალსაჩინოა თუნდაც ჩვენსა და ჩრდილოეთ კავკასიის მთაში, სადაც ჩვენთან ქრისტიანული ელემენტები და იქ კიდევ ისლამური, საკმარისად რთულ შენაზავში შედის, მართლაც ალბათ ძალიან ძველი კულტებისაა, როგორც სხვები ფიქრობენ, აღორძინებული წარმართული კულტების, ყოველ შემთხვევაში საქმე გვაქვს აშკარად წარმართულ ელემენტებთან. თუნდაც ეს გასაოცარი სადიდებლები, როდესაც იწყება ჩვენთვის ყველასთვის მისაღებად, პირველად ღმერთი ვადიდოთ, ის უფრო დიდებულია, მეორედ წმინდა გიორგი და აი მესამე ვინ იქნება, ხან ვინ არის და ხან ვინ. შეიძლება იყოს ვიღაცა კოპალა, რომელიც ვინ არის? მე მაინც დიდი ეჭვი მაქვს, რომ პატარა დემონია. შეიძლება მაინცდამაინც ბოროტი არა, მაგრამ მაინც დემონია. მთლად სადიდებელი ალბათ არ არის, მაგრამ ფაქტია ასე იყო ყოფაში ყველა ქრისტიანი ერისა და არამგონია ესეც საკამათო არ არის. დარჩენილია უამრავი წარმართი რწმენა-წარმოდგენა, ფერიების ხეები შუაევროპაში, რომლებიც მე-19 საუკუნემდე ყოველ შემთხვევაში იყო, ტროლების ქეები სკანდინავიაში და ა. შ. მე-16 საუკუნემდე ინგლისში საერთოდ ბაქანალიები ტარდებოდა და კი იყო ქრისტიანული სარწმუნოება ათასი წელი. ეს ყველაზე მარტივია, ეს ნიშნავს იმას რომ რაღაც შრეში მოსახლეობისა ანუ რაღაც კუთხეში ქრისტიანულმა სარწმუნოებამ ჯერონად ფესვი ვერ გაიდგა, ფეხი ვერ მოიკიდა. მე არ მეჩვენება, რომ ეს შემთხვევები საინტერესო იყოს, იმიტომ რომ არ გახლავთ რელიგია ისეთი მარტივი რამე, რომ ასე უცებ, ერთი შეხედვით, ერთი თვალის ჩაკვრით ადამიანი სხვად გარდაისახოს. ბუნებრივია ასე არ ხდება, რაღაც ვითარებებში ამას სჭირდება დიდი დრო. ძალიან თვალსაჩინო დღეს მაგალითი ეს არის სამხრეთ ამერიკაში ძალიან უცნაური კულტები, სადაც ზოგადქრისტიანული წმინდანების თაყვანისცემა ძალიან უცნაურ კულტებთანაა შერწყმული ან ყოველგვარად გასაოცარი აფრიკული რელიგიები, შექმნილი სხვადასხვა მსოფლიო რელიგიების საფუძვლებზე, მე პირადად ყველაზე მეტად მომწონს შავი მაჰმადიანები, რომელთა მოღვაწეების საფუძველი ის გახლავთ, რომ მაჰმადი იყო ზანგი. რას ემყარება ეს ყოველად გასაოცარი წარმოდგენა არ ვიცი, მაგრამ ქადაგებენ ამას. მართალია უხერხულია ლაპარაკი შავ რასიზმზე, მარტო თეთრკანიანებზე შეიძლება ლაპარაკი, მაგრამ არსებობს შავი რასიზმი ძალიან აგრესიული, არანაკლები, ვიდრე კუკლუს კლანი, მაგრამ აკი ვამბობ, ლიბერალურ საზოგადოებაში ამაზე არ ლაპარაკობენ. ვინაიდან არ გახლავართ ლიბერალი,

ამიტომ ვამბობ. არის ერთი მაინც შემთხვევა, როდესაც ამბობენ, რომ შემოსულმა რელიგიამ განიცადა მკვეთრი ცვლილება. ეს გახლავთ ინდური წარმომავლობის ბუდიზმის შესვლა ჩინეთსა და იაპონიაში, სადაც გაჩნდა ეს ჩენ თუ ძენ ბუდიზმი. ასე ამბობენ, ის რასაც აღიარებდნენ ჩინელი თუ იაპონელი ბუდისტები, იყო რაღაც სულ სხვა. ეს სულ სხვა დაახლოებით ასე ყალიბდება, ამ მოძღვრებით ის რასაც ჩვენ ვხედავთ, ინდური ტერმინით სამსარა, წუთისოფელი და ის, რასაც ბუდა ეძახდა ნირვანას, ის რაღაც უცნაური მდგომარეობა, რომელიც როგორც ჩანს ყველაზე მეტად ჰგავს შესაქმემდე მდგომარეობას ქვეყნიერებისას, როგორც სჩანს იქ უნდა დაბრუნება ბუდას. ამ ჩინელი და იაპონელი ბუდისტებისთვის არის ერთიდაიგივე, გააჩნია საიდან შეხედავთო. ამიტომ გასხვივოსნების უამრავი, მათი ყველაზე მეტად უმწვერვალესი მიზანი მათი ცხოვრებისა, ის არის, როდესაც თქვენ დაინახავთ ყოველგვარ მოვლენას საესებით ყოფითი, დაინახავთ მას შეთანახმიერებულს იმ სასურველ, საბოლოო მდგომარეობასთან, ერთიანობაში განიცდით მას. ეს არის გასხვივოსნების წამი, მაგრამ მერე და მერე გაირკვა, რომ ეს მთლად ასე არ ყოფილა. იმიტომ რომ ზუსტად ასეთივე სწავლება აქვთ თვითონ ინდოელებს, მაგრამ ეს არ არის კლასიკური ბუდიზმი ბუდასი, ე.წ. ჰინაიანას ბუდიზმი, არამედ როგორი სახითაც ის ჩვენ წარმოგვიდგენია პირველი საუკუნიდან ე.წ. მაჰაიანას ბუდიზმი, რომელსაც თავისი დამფუძნებელიც ჰყავს (ნანარჯუნა?), რომელმაც ეს მოძღვრება შემოიტანა. შემოიტანა უამრავი რამ, მაგალითად თუ ბუდა ამბობდა პირდაპირ, უკანასკნელი, რაც ადამიანმა უნდა მოიშოროს, უკანასკნელი სურვილი, რომ გახდეს თავისუფალი, მან აღარ უნდა ისურვოს უკვდავება, ამ მაჰაიანას ბუდიზმში უკვდავება უარყოფილი არაა და ისინი ამბობენ, რომ სინამდვილეში ის სანეტარო მდგომარეობა და სააქაო გაყოფილი არ არის, ერთიდაიგივეა, უბრალოდ სწორად უნდა დაინახო. მიუხედავად ამისა ინდოეთში მაინც არ არის ისეთი მხატვრობა, როგორცაა იაპონიასა და ჩინეთში, არ არის ისეთი პოეზია, უცნაური მინიშნების პოეზია, იტყვიან იქ ალუბლის ხეს და უნდა წარმოიდგინო უამრავი რამე, წარმავალობა, დროთა ცვალებადობა, ადამიანის ცხოვრების წამიერება და უამრავი სხვა რამ. ან მაგალითად თოვლი, ჩვენს პატრიარქს რომ უყვარს, არ ვიცი თოვლი თოვლი არის, თუ ყვავილებიაო. ეს მინიშნებები, სადაც განიჭვრიტება ის სიბრძნე, რომელიც მათ უნდათ რომ იყოს, ან მაგალითად ეს ძალიან კარგი ლექსი, თუმცა ვერ ავხსნი რატომ არის კარგი.” როგორი ნათელია, როგორი ნათელია, როგორი ნათელია მთვარე”, მაგრამ ამის მიღმა უნდა იყოს მთელი რელიგიური სისავსე. ასეთი რამ ინდოეთში არ არის და რატომ? როგორც ჩანს მე ამას წაკითხულითაც ვამბობ, იქ ასე მკაფიოდ არ წერია, როგორც ჩანს მთელი სხვაობის რელიგიური საფუძველი არის განსხვავებული ასკეტიკა, იმიტომ რომ ინდოელი ბუდისტები თვლიდნენ, რომ შრომა ხელს უშლის სულიერ წრთვანს და ჩინელი და იაპონელი ბუდისტები თვლიდნენ, რომ არა, რომ ამ სრულიად ყოფით საქმიანობასიც, თუ თქვენ ამას აკეთებთ არა თავისთვის, ეს თქვენ

კეთება, არკეთებაა. თქვენ შეგიზღვიათ შეშის გაპობისას მიაღწიოთ გასხვივოსნების უამს, მთავარია იქ არ იყოს ჩართული ანგარება, რაღაცაზე მატერიალური მიბმულობა. როგორც სჩანს ამ უყოფითესის და უზენაესის გაიგივებამ, რაც არ იცოდა ინდოეთმა, მოგვცა ჩვენ სრულებით სხვა ესთეტიკა და მართლაც თუმცა მოძღვრება არ შეიცვალა, რაღაც მხარე ამ მოძღვრებისა არის აშკარად სხვა, გამკვეთრდა რაღაც ისეთი წახნაგი რელიგიისა, რომელიც მეორე შემთხვევაში თვითონ იმ შემოქმედ ქვეყანაში ასე მკვეთრად არ იყო. ეს არ არის ცვლილება, ამაშია მე მგონი მთელი ამბავი. ამით მოძღვრება კი არ შეიცვალა, შეიცვალა მისი განცდა და მე მეჩვენება, ეს არის ერთგვარად უნივერსალური მოდელი და ძალიან კარგად შეიძლება ეს ჩვენ დავინახოთ ქრისტიანული კულტურის შემოსვლისასაც. რა ხდება? არა მგონია სამტკიცებელი იყოს, თუმცა რაღა არ არის დღეს სამტკიცებელი. ყველამ ვიცით, რომ არიან ადამიანები ჩვენშიც, რომლების ამტკიცებენ, რომ ყველაფერი არის ბიზანტიური. მაგალითად ასეთი დისკი არსებობს, ახატია მცხეთის ჯვარი და აწერია ბიზანტიური ხუროთმოძღვრების ძეგლი. კი ბატონო იყოს ბიზანტიური, მე პირადად ეს სულ არ მადელებს, რა მნიშვნელობა აქვს სახელს, ოღონდ მაშინ მოდით იმ კონსტანტინოპოლს რაღაც სხვა სახელი დავარქვათ, იმიტომ რომ თუ აია სოფიაა ბიზანტიური, ეს ბიზანტიური არაა. ისევე როგორც ქართული სიტყვა “ღმერთი” არ არის ბერძნული “თეოს”, ხომ არის სხვადასხვა სიტყვა, სად წახვალ. თუ ჩვენ ვაღიარებთ რომ არის სხვადასხვა ენა, მე არ მესმის როგორ არ ვაღიაროთ, რომ არის სხვადასხვა ხელოვნება, როდესაც ისინი სხვადასხვა არის, ჩვენ ეს გვინდა, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, არის. მე პირადად არ გამიკვირდებოდა, ვიღაცას ეთქვა, რატომ არა, მოდით დავანგრით ქართული წარწერები, ის არის ცუდი და ავაშენოთ ბერძნული რიგის. მე ეს არ მომეწონება და შევეცდები ეს არ მოხდეს, მე მესმის ეს პოზიცია, მაგრამ რომ ეთქვა ეს პოზიცია არ არსებობს, არ მესმის, იმიტომ რომ ის ნამდვილად არსებობს. მე მაქვს ჩემი სტუდენტებისთვის მობეზრებული მაგალითი, მაგრამ უკეთესი მე არ ვიცი, სადაც მე ვფიქრობ, ძალიან კარგად ჩანს ეს განსხვავება. ყველას ალბათ გახსოვთ ან ძალიან იოლად გაიხსენებთ, რა ხდება, როდესაც თქვენ შედიხართ ანჩისხატის ტაძარში, ჩახვალთ კიბეზე და გაიხედავთ საკურთხევლისკენ. უცებ დაინახავთ უზარმაზარ სარკმელს, საკურთხეველი ამიტომ ჩანს ძალიან ახლოს. ეს ხდება ძალიან მარტივი მიზეზით, იმიტომ რომ ძველი სარკმლები, რომლებიც არის სამხრეთ კედელში, არის ძალიან პატარა და ეს არის ძალიან დიდი, ამიტომ ვინაიდან ადამიანის თვალი ერთდროულად გვერდულად ხომ ხედავს იმ პატარა სარკმლებს, წინაც რომ იყურებოდეს, აზომავს ერთმანეთზე და გამოდის, რომ ის რაც ახლოსაა, შორსაა და რაც შორსაა, არის ახლოს. ჩვენ შეიძლება სხვაგანაც დავადასტუროთ მაგალითები, როდესაც ხდება ოპტიკური დაკუმშვა ან ზოგჯერ ფიზიკური დამოკლება იმ ტიპისა, რომლითაც არის აშენებული ანჩისხატის ტაძარი, მოგეხსენებათ ეს ბაზილიკური ტიპია და ქართულმა ხუროთმოძღვრებამ,

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ქართულმა მრევლმა სიგრძობა ელინისტური, რომაული თუ ბერძნული, თუ სირიული, იერუსალიმური ბაზილიკისა, როგორც ჩანს ვერ მიიღო, მისთვის ეს შემაწესებელი აღმოჩნდა, ამიტომ ყველანაირ ღონეს ხმარობენ, რომ კი არის ის დიდი, კი არის ის გრძელი, მაგრამ თვალმა დაინახოს ის დაკუმშულად, კომპაქტურად, საკურთხეველი დაინახოს ახლოს ყველა წერტილიდან. მე თავიდანვე ეს ვნახე, კი დაწვრე და ვთქვი კიდევ, მაგრამ სულ მაწესებდა, ხომ არ მეჩვენება, ხომ არ არის ეს მოგონილი, სანამ არ მივაგენი ჩემთვის სრულიად გასაოცარ მაგალითს, ეს გახლავთ კონსტანტინე დიდის (ტრიუმფი?) აშენებული დარბაზი, თუმცა ეს საერო ნაგებობა იყო, მაგრამ დიდი ხანია უკვე ეკლესიაა, იმიტომ რომ ეკლესიას ძალიან გავს, გრძელი, ერთნაგიანი სივრცეა, ბოლოში აბსიდი აქვს, ზუსტად როგორც ერთნაგიანი სივრცეს. და რა ხდება ესაა, ამ აბსიდის სარკმლები არის უფრო პატარა, ვიდრე სარკმლები გვერდითი კედლებისა, ამიტომ ადამიანი არა თუ ახლოს არ ხედავს საკურთხეველს, არამედ გაცილებით შორს ხედავს მას, ვიდრე ის სინამდვილეში არის. ეს სურვილი, რომ საკურთხეველი იყოს შორს, ხელოვნურადაა მიღწეული და რომ ეს არ არის შემთხვევითი, მე ყოველ შემთხვევაში ასე მეჩვენება, ძალიან კარგად ჩანს მაგალითად აია სოფიას ტაძარში, რომელიც აბსოლუტურად ცენტრულია და ამავდროულად გეგმას რომ დახედავთ, ის არის გრძელი. რაც ყველაზე საინტერესოა უძველესი ეპისკოპოსის წირვა იქ ასე იწყებოდა. გროვდებოდნენ ადამიანები ? , იღებოდა კარი, შედიოდნენ, წინ მიდიოდა პატრიარქი კრებულთურთ, შემდეგ იმპერატორი და შემდეგ დანარჩენი მლოცველები. სე ერთიანად მიდიოდნენ, იატაკზე მონიშნული იყო, დარჩენია ეს ზოლები, მწვანე მარმარილოთი, სადაც ყოველი კატეგორიის ადამიანები უნდა შეჩერებულყვნენ. ბუნებრივია სამღვდლო კრებული საკურთხეველში შედიოდა, იმპერატორი წინ ჩერდებოდა და უფრო უკან დანარჩენები. ეს ცენტრული ნაგებობა სიგრძივობაზე იყო აგებული, მაშინ როდესაც ჩვენს ეკლესიებში, როგორც ჩანს ძალიან ძველი დროიდან, სადაც მე-8 საუკუნიდან დანამდვილებით, შესასვლელი არის სამხრეთით, თქვენ გვერდიდან შედიხართ. ბოლნისიოს სიონში არის უკვე, იქ საერთოდ არ იყო დასავლეთის კარი და გვერდებიდან შედიოდნენ. მეორე, არანაკლებ გასაოცარი, გახლავთ რა გამოსახულებებს ვათავსებთ ჩვენ ეკლესიების გარე კედლებზე. განსაკუთრებით გამაოგნებელია ამ მხრივ მცხეთის წმინდა ჯვრის აღმოსავლეთი ფასადი, სადაც მოგესხენებათ არის მაცხოვარი და მის წინ დაჩოქილი მაშენებლები. ამგვარი გამოსახულებები უნდა იყვნენ საკურთხეველში შიგნით და უნდა იყვნენ საკურთხეველის უმაღლეს ზონაში კონგში, ანუ ზეცაში. ზეციური გამოსახულება გამოტანილია გარეთ. მე არ მაქვს იმედი, რომ როდესმე ვიპოვით ამის დამადასტურებელ ტექსტს, მაგრამ მე პირადად არ ვიცი, როგორ უნდა ავხსნათ ეს სხვანაირად, თუ არა ისე, თუკი ბიზანტიელი მშენებლისთვის გარე კედელი, უფრო ხშირად, ალბათ არის გამონაკლისები, მაგრამ უფრო ხშირად ეს არის ერთგვარი მოსასხამი, ნაჭუჭი, ძალიან ლამაზი, მაგრამ მაინც ნაჭუჭი, რომლის



შიგნითაც იმალება ყველაზე ძვირფასი და მნიშვნელოვანი, საკრალური სივრცე, ეს ორი სხვადასხვა რამაა, ერთმანეთისგან მკაფიოდ გამიჯნული. ქართველი მშენებელი, სასულიერო პირი, მლოცველი, არ ხედავს საკრალურს და მსოფლიურს ასე სასტიკად გამიჯნულს. ჩემთვის ასეთი მეტაფორა მოვიგონე, ეკლესია თითქოს თავის საიდუმლოს უფლისვე შექმნილ სამყაროს უბრუნებს, გათქვამს, უქადაგებს და სხვათა შორის გამოსახულებების მიმართ ძველ ქართულ ტექსტებში ასე ამბობენ, გამოსახულება ქადაგებსო. სრულიად შეგნებული ჰქონდათ იმ ადამიანებს, რასაც აკეთებდნენ, ამ შემთხვევაში ეს ქადაგება მარტო საკრალურ სივრცეში კი არ ხდება, არამედ საერო სივრცეშიც გამოდის. ძალიანა საინტერესოა ამ მხრივ გამოსახულებები დასავლური ეკლესიების პორტალებზე, სადაც ძალიან ხშირად არის დიდ პლანში საშინელი სამსჯავრო და შეიძლება იყოს საღვთო ისტორიაც მოთხრობილი, მაგრამ საქმე ის გახლავთ, როგორც სჩანს დასავლური ტაძარი განასახიერებს, პირველ ყოვლისა, ზეცათა იერუსალიმს. ადამიანმა უნდა გაიაროს მთელი ისტორია საშინელი სამსჯავროს ჩათვლით და შედის ზეცათა იერუსალიმში. იქ უკვე ისტორია დამთავრებულია, მაშინ, როცა მართლმადიდებელთა ტაძარი განასახიერებს ღვთაებრივ კოსმოსს, შექმნილი ყველაფრიანად ზეციან, ზესთაზეციან, ციან, დედამიწიან, ქვესკნელიანად. არის თუ არა რომელიმე ეს შეხედულება ბიზანტიური თუ ჩვენი, არასწორი? მე ვფიქრობ, რომ არა, ჩვენ ორივე შეგვიძლია დავასაბუთოდ. თავს ნებას ვაძლევ შევიჭრა იმ რაღაცეებში, რაც ჩემი ცოდნისა მაინცდამაინც არ არის, მაგრამ რაკი სხვა ამას არ აკეთებს, მიხდება ჩვენ ვინხერკედალაოთ. აი, მაგალითად ყველას გახსოვთ, როგორ მთავრდება მათეს სახარება: ”აჰა, ესერა მე თქვენთანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა”, ეუბნება მაცხოვარი და ამის შემდეგ ამაღლდება, ამ გასაოცარ პარადოქსში მე მეონი ძალიან კარგად ვლინდება, რომ მაცხოვარი მიდის და რჩება და მე მფხვენება, რომ ქართველის განცდაში ეს იყო ყველაზე მთავარი, რომ მაცხოვარი არ წასულა, მაშინ როცა ბერნისთვის, რომელიც თესალონიკის ტაძარში წმინდა დემეტრეს საფლავზე შედის, ამ უგრძეს სივრცეს ხედავს, მას ალბათ ახსენდებოდა მეორე ნათქვამი, “მე ვარ გზაი და მე ვარ ჭეშმარიტებაი და ცხოვრებაი” ორივე სწორია, მაგრამ საქმე ისაა, რომ ორივე კულტურამ გამოიტანა ჯერ ერთი გაგება, ერთი წახნაგი ჭეშმარიტებისა, მეორემ მეორე. მე ვფიქრობ, რომ სწორედ ეს არის არსი იმისა, რატომაც დარჩნენ ერები, იმიტომ რომ დღეს იხსენებდნენ ამ გასაოცარ სასწაულს სულიწმინდის გარდამოსვლისა, ჩემთვის ვფიქრობდი, ხომ სასწაულია, ხომ შეიძლება მომხდარიყო სასწაული და იმისთვის რომ გავრცელებულიყო ქრისტიანობა, ყველა ერი ალაპარაკებულიყო არამეულიდ მაგალითად, ჩრდილო პოლუსიდან სამხრეთ პოლუსამდე, რა უშლიდა სასწაულს? სასწაული ხომ სასწაულია? რატომ მოხდა ასეთი სასწაული? ალბათ მაინც იმიტომ, რომ სხვადასხვა ენა და ეს შემთხვევითი ხომ არ არის, რომ ეს ერნი და ენანი ერთიდაიგივეა. ყველა კულტურა რაღაცა სხვას ხედავს. აქ საქმე ჭეშმარიტება

კი არ არის, რომელიც ერთი უნდა იყოს, არამედ საიდან უყურებენ ამ ჭეშმარიტებას. სივრცესა და დროში ყველა კულტურას თავისი ადგილი აქვს. ეს ოდნავ განსხვავებული წახნაგით უყურებს ჭეშმარიტებას. სხვა ამბავია, როდესაც ჩვენ ვადარებთ სხვადასხვა აღმსარებლობის კულტურებს. აქ უკვე ვიღაცას ეს სისასტიკედ მოეჩვენება, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ჭეშმარიტობის იმ ხარისხზე, რომელიც აქვს ამა თუ იმ აღმსარებლობას აბსოლუტურ ჭეშმარიტებასთან, ღვთივგამოცხადებულ ჭეშმარიტებასთან მიმართებით. მაგალითად ყოველნაირ წარმართობას ჩვენ ვერ დაგუკარგავთ იმას, რომ აღიარებს კოსმოსის, ღვთივქმნილი სამყაროს მშვენიერებასა და ჰარმონიულობას, ანუ მანაც იცის ჭეშმარიტების რაღაც ნაწილი. მანაც იცის, რომ ქვეყნიერება ღმერთის შექმნილია, იცის, არ ჰგონია, რომ ის თავისით დაიბადა. როგორ ამბობენ? სიცოცხლე დაიბადა მოლეკულებისგან, რომელიც ოკეანეში დაცურავდნენ და ერთმანეთს ხვდებოდნენ და რანაირად ხვდებოდნენ ერთი ვინმემ გამაგებინოს ეს უჯრედები. ხშირად ამბობენ და სწორიცაა, რომ ჩვენ უნდა ვიპოვოთ ყველგან ყოველგვარ წარმართობაში, ყოველგვარი ნიანგების და ვეფხვების თაყვანისმცემლებთან ის მარცვალე ჭეშმარიტებისა, რომელიც მათ შეიძლება იცოდნენ ისეთი, რომელიც ჩვენ არ ვიცით, იმიტომ რომ შეიძლება ესეც ნებისმიერია, მაგრამ მე მეჩვენება რომ ჩინურ აკვიპუნქტურას ვერავინ, გარდა წარმართისა ვერ აღმოაჩინდა. ვის შეუძლია ასეთი სიყვარულით უყუროს ნივთიერ სხეულს, აღმოაჩინოს მასზე ათასობით წერტილი და მათ შორის მიმართებები. ეს შეუძლებელია სპირიტუალურად მორწმუნისთვის, ვინც უნდა იყოს, ვერ შეხედავს საგანს უბრალოდ ასე, ვერ დააშტერდება, მაგრამ რატომ უნდა ვუარყოთ ის ცოდნა, რომელიც ფაქტია. ესეც ასეა. ასე რომ, როგორც ჩანს ყველა კულტურის არსებობის არსი ის არის, რომ ყოველი მათგანი ხედავს რაღაცას, რაც შეიძლება სხვა კულტურას გაეპაროს. თუმცა არც ისაა დასავიწყი, რომ შესაძლებელია ამ კუთხეში, მისმა პოზიციამ რაღაცა დეფორმირებულადაც აჩვენოს. აქ არის საჭირო მომთხოვნელობა, აქ არის საჭირო ინტელექტუალური სიფხიზლე და სულ არ არის ძნელი აღმოაჩინო საკუთარი შეცდომა, თუ ამას მოინდომებ, აღმოაჩენ კიდევ, უბრალოდ თვალები უნდა გაახილო. და ბოლოს იმასაც მოგახსენებთ, თუ რა მეჩვენება მე იმის სათქმელად, რაც აქვს ქართულ კულტურას. რას ხედავს ქართული კულტურა, შესაძლოა განსხვავებულად, ვიდრე სხვა კულტურები. მე მგონია, ეს არის თვისება, რომელიც ბიძაჩემმა, მიხეილ თუმანიშვილმა, გამოთქვა, მე ძალიან მომწონს მისი გამოთქმა და მგონია, რომ ის ძალიან ქრისტიანულია და ძალიან ქართულია. ფილმს იღებდნენ და მას ჰკითხეს, თქვენ ოპტიმისტი ხართ თუ პესიმისტიო და მან უპასუხა, სევდიანი ოპტიმისტი ვარო, ანუ იცის, რომ სევდიანია წუთისოფელი, ბევრი გაჭირვება და ბევრი უბედურებაა, მაგრამ საბოლოო სასოწარკვეთა შეუძლებელია, იმიტომ რომ არსებობს ჭეშმარიტება და საბოლოოდ ყველაფერი თავის გზას ნახულობს. სხვანაირად უფრო ადრე და იფრო ფილოსოფიურად, რაღა თქმა უნდა, ეს გამოთქვა რუსთაველმა. ალბათ

მისი პოემა, რომ მოინდომოს ვიღაცამ რეზიუმე, შეიძლება ისევ სუბიექტური ვარ, მაგრამ მეჩვენება, რომ თქვას ვიღაცამ მოდით ერთი წინადადება ამოვიღოთ და ეს იყოს “ვეფხისტყაოსნის” შედეგი. ეს ალბათ იქნება, “ნახე სიმუხთლე ჟამისა”, რა არის იქ თავიდან ბოლომდე, გაჭირვება, მაგრამ არის იქ კიდევ გასაოცარი ნათქვამი, წუთისოფელს ეუბნება რუსთველი “ღმერთი არ გაწირავს, კაცსა შენგან განაწირსა” რაც უნდა იბორგოს წუთისოფელმა, სულ ერთია საბოლოო ჯამში ყველაფერი მოექცევა სიკეთისკენ, ყველაფერი მოექცევა ისე, როგორც ეს საჭირო არის და ამიტომ შეუძლებელია უიმედობა. მე პირადად მეჩვენება, რომ ჩვენი დიდი ხნოვანება ქართველი ერისა, რომელიც სამჯერ მაინც უნდა გადაშენებულიყო ისტორიის მანძილზე, იმ ობიექტური მონაცემებით, რომელიც იყო. სწორედ იმიტომაც ალბათ გურამ ასათიანი ამბობდა, რატომ ვართ ასეთი იმედიანიო, ეტყობა იმიტომ, რომ ვიცით არავითარი გასაჭირი არ არის იმაზე ძლიერი, რაც არის სიკეთის საწყისი და სულ მარტივად, ქვეყნიერება ვერ იარსებებდა, ბოროტება რომ იყოს ძალით სიკეთის თანასწორი, ან მითუმეტეს მასზე მეტი. დიდი ხანია გაქრებოდა, მოხდებოდა მისი ანიჰილაცია, რადგან ეს ასე არ არის, ბოროტება, როგორც ამბობენ, არასუბსტანციალურია და ყოველთვის არის სიკეთე. ღმერთმა ინებოს, რომ ჩვენ ამ რწმენით ვიაროთ შემდგომი საუკუნეები. მაღლობთ.